

მცირე ბიზნესის გენერირებისა და მატერიალური მხარდაჭერის პროექტის და შესაბამისი

დებულების დამტკიცების შესახებ

აიპიპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ წესდების 1 მუხლის 1,10; 1,11; 1,12 და 1,13 პუნქტების, მე-3 მუხლის 2,2 პუნქტის; მე-5 მუხლის, 5,3 პუნქტის, 5,3,2 და 5,3,4 ქვეპუნქტების თანახმად,

ასევე: 05/10/2021 ბრძანების N060, 01/11/2021 ბრძანების N065 და 12/11/2021 ბრძანების N068 და მათ საფუძველზე, კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, შეძენილი ელექტრორეკლამური შემდუღებლის 2 ნაკრების და 2 მოტოსკუტერის, კონკურსის გზით, დევნილი პირებისთვის, თვითდასაქმებისა და მათთვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდისათვის გადაცემის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს აიპიპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ (შემდგომში ორგანიზაცია) **მცირე ბიზნესის გენერირებისა და მატერიალური მხარდაჭერის პროექტი** (შემდგომში პროექტი), (როგორც 2021 წლის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდის პროგრამის, მცირე ბიზნესის გენერირებისა და მატერიალური მხარდაჭერის ქვეპროგრამის გაგრძელება) და შესაბამისი თანდართული დებულება.
2. პროექტის დაფინანსების წყაროდ განისაზღვროს სახელმწიფო ბიუჯეტით, აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტით 2021 წელს შეძენილი და ორგანიზაციის მარაგებში რიცხული ელექტრორეკლამური შემდუღებლის 2 ნაკრები და 2 მოტოსკუტერი .
3. პროექტის საერთო ბიუჯეტი განისაზღვროს - 9,569.80 ლარის ღირებულების 2021 წელს შეძენილი და ორგანიზაციის მარაგებში რიცხული ელექტრორეკლამური შემდუღებლის 2 ნაკრები და 2 მოტოსკუტერი.
4. პროექტი განხორციელდეს ღია კონკურსით, კონკურენტულ და თანაბარფლებიან პირობებში. კონკურსის წესი და პირობები განისაზღვროს/დამტკიცდეს თანდართული დებულებით (დანართი#1).
5. პროექტის ფარგლებში, გამოცხადდეს ღია კონკურსი, რომლის ფარგლებში:
 - 5.1. განაცხადების მიღების დაწყების, დასურლებისა და სხვა პირობები განისაზღვრება თანდართული დებულებით (დანართი#1).
 - 5.2. პროექტის დასრულების/შეწყვეტის შესახებ და განაცხადების მიღების შეწყვეტის შესახებ 2 სამუშაო დღეში, ინფორმაცია უნდა განთავსდეს ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუქ-გვერდზე. ინფორმაციის განთავსება ევალება ორგანიზაციის კონკურსებისა და პროგრამების მენეჯერს.
 - 5.3. გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით, პროექტის ფარგლებში შემოსული განაცხადების განხილვა ეთხოვოს ორგანიზაციის, პროგრამების ფარგლებში შემოსული განაცხადების შეფასების მუდმივმოქმედ კომისიას (შემდგომში კომისია):
 - 5.4. შემოსული განაცხადების განხილვისას და შეფასებისას, კომისია ვალდებულია იხელმძღვანელოს, კომისიის დებულებით (ორგანიზაციის დირექტორის ბრძანება 24/03/2020 №005; ბრძანება 20/10/2021 №055) და მოცემული ბრძანებითა და თანდართული დებულებით (დანართი #1);
 - 5.5. დაევალოს ორგანიზაციის კონკურსებისა და პროგრამების მენეჯერს-კომისიის მდივანს, კომისიის მუდმივი წევრებისათვის დაუყოვნებლივ ბრძანების გაცნობა; კომისიის მოწვეული წევრებისათვის შესაბამისი კომისიის პირველივე სხდომის წინ მოწვევისას. გამოაქვეყნოს მოცემული ბრძანება განაცხადების დაწყების მიღებამდე, ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე;
6. პროექტის მიზანია, საქართველოში მცხოვრები დევნილი პირების მცირე ბიზნესის გენერირების, დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; დევნილი თემის გაძლიერება მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის და ეკონომიკური განვითარების სტიმულირების გზით.
7. პროექტზე პასუხისმგებელია-ორგანიზაციის კონკურსებისა და პროგრამების მენეჯერი.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე12 კმ, #6)



დირექტორი

IIDS

ვ.ფოჩხუა

მცირე ბიზნესის გენერირებისა და მატერიალური მხარდაჭერის პროექტის (შემდგომში პროექტი)

კონკურსის დებულება

მუხლი 1. კონკურსის მიზანი, აღწერა და მიმართულება

1. კონკურსის მიზანია საქართველოში მცხოვრები დევნილი პირების მცირე ბიზნესის გენერირების, დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; დევნილი თემის გაძლიერება მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის და ეკონომიკური განვითარების სტიმულირების გზით. კერძოდ, მათთვის ტექნიკური საშუალებების (სამუშაო ინსტრუმენტების / ინვენტარის / სკუტერების) გადაცემის გზით.

2. პროექტი ითვალისწინებს კონკურსს ორი ძირითად მიმართულებით:

ა) ელექტრორკალური შემდუღებელი;

ბ) მოტო-კურიერი.

3. კონკურსის ეტაპებია:

ა) განაცხადების მიღება-რომლის დროსაც აპლიკანტი ავსებს განაცხადის ფორმას და ელექტრონულად აწერს ხელს, რითაც ეთანხმება პროექტის წესებსა და პირობებს და ადასტურებს მის თანხმობას-იღებს პასუხისმგებლობას შეასრულოს ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების (დანართი#3) პირობები;

ბ) შემოსაული განაცხადების განხილვა: კომისია იმსჯელებს, ამ დებულების მუხლი 1, პუნქტი 2-ის ყველა ქვეპუნქტში განსაზღვრული მიმართულების განაცხადებთან დაკავშირებით;

4. ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ისეთი საქმიანობას, რომელიც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულ საქმიანობას.

5. ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ისეთი განაცხადს, რომელიც კომისიის შეფასებით გადალახავს შეფასების მინიმალურ ზღვარს და დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილ აუცილებელ კრიტერიუმს-პირობას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აპლიკანტი - აფხაზეთიდან დევნილი ან/და ე.წ. გამყოფ ხაზს მიღმა, ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირი, რომელიც განაცხადის გაკეთებით-პროექტში მონაწილეობით გამოხატავს მცირე ბიზნესის წარმოების სურვილს და ეთანხმება ამ დებულებით განსაზღვრულ წესებსა და პირობებს;

ბ) განხილვა-შეფასება – ორგანიზაციისა და კომისიის მიერ ჩატარებული საქმიანობა, რომლის მიზანია ამ დებულების შესაბამისად გამარჯვებული აპლიკანტ(ებ)ის შერჩევა;

გ) ბენეფიციარი – კონკურსში გამარჯვებული და დაკმაყოფილებული აპლიკანტი.

მუხლი 3. კონკურსის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერის ბიუჯეტი

1. გამარჯვებულად გამოცხადებული განაცხადებით განსაზღვრული მატერიალური მხარდაჭერის საერთო ზღვრული ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს პროექტით განსაზღვრულ საერთო ბიუჯეტს;
2. გამარჯვებული აპლიკანტის მატერიალური მხარდაჭერის ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პროექტით განსაზღვრულ საერთო ბიუჯეტს.
3. პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარების დაკმაყოფილება ფიქსირებული ოდენობის ბიუჯეტის შესაბამისად, შემდეგი მაქსიმალური ოდენობებით მიმართულებების მიხედვით:

მიმართულება	ბენეფიციართა მაქსიმალური რაოდენობა	ტექნიკური მხარდაჭერა ერთ ბენეფ-ზე მაქს.	სულ ჯამში
ელექტრორკალური შემდუღებელი	2	1 084.90 ლ.	2 169.80 ლ.
მოტო კურიერი	2	3 700.00 ლ.	7 400,00 ლ.
სულ ჯამში:	4		9 569.80 ლ.

მუხლი 4. პროექტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსში ჩართული სუბიექტების სტატუსი და უფლებამოსილება

1. ამ დებულებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ორგანიზაცია.
2. ორგანიზაცია წარმოადგენს ამ დებულების განმახორციელებელ სუბიექტს, რომელიც უზრუნველყოფს:
 - ა) კონკურსის პოპულარიზაციის მიზნით ინფორმაციის გავრცელებას;
 - ბ) კონკურსის ფარგლებში განაცხადების მიღებას;
 - გ) აპლიკანტების განაცხადების მიღებას და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობის დადგენას;
 - დ) მიღებული განაცხადების კომისიის მიერ შეფასების ორგანიზებას;
 - ე) კომისიის მიერ შერჩეულ და დირექტორის ბრძანებით, გამარჯვებულ აპლიკანტებთან ხელშეკრულებების დადებას;
3. კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული აპლიკანტების გამოვლენის მიზნით ორგანიზაცია ქმნის კომისიას და განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას.
4. კომისიის წევრების მომსახურების ღირებულებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში საქართველოში მათი ტრანსპორტირებისა და განთავსების ხარჯებს აფინანსებს ორგანიზაცია.
5. კომისია:
 - ა) იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებული აპლიკანტ(ებ)ის გამოვლენის შესახებ;
 - ბ) ახორციელებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;

6. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, კომისიის ხმის უფლების მქონე ერთ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
7. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა.
8. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის შესაბამის სხდომის ოქმში.
9. კომისიის ხმის უფლების მქონე წევრი არ შეიძლება იყოს ორგანიზაციის თანამშრომელი.
10. კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. არავის აქვს უფლება ჩაერიოს კომისიის საქმიანობაში ან/და მოახდინოს რაიმე ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მუხლი 5. კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელი ავსებს სპეციალურ სააპლიკაციო განაცხადს მატერიალური ფორმით ან ელექტრონულ ფორმატში სპეციალურ ვებგვერდზე www.iids.ge. ან/და სრულად შევსებულ და Pdf ფორმატში დასკანერებულ განაცხადის ფორმას, აგზავნის ელ.ფოსტაზე: application@iids.ge.

მუხლი 6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

კონკურსის მიმართულება	საკვალიფიკაციო მოთხოვნა	წარმოსადგენი დოკუმენტი
ელექტრონული შემდუღებელი	აფხაზეთიდან დევნილი ან/და ე.წ. გამყოფ ხაზს მიღმა, ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირი, რომელიც განაცხადის გაკეთებით-პროექტში მონაწილეობით გამოხატავს მცირე ბიზნესის წარმოების სურვილს და ეთანხმება ამ დებულებით განსაზღვრულ წესებსა და პირობებს, რომელიც აპირებს აწარმოოს/აწარმოებს ეკონომიკურ საქმიანობას და დარეგისტრირდება/რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად კანონმდებლობის შესაბამისად;	-პირადობის მოწმობა; -დევნილის მოწმობა; -შესაბამისი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი, სერთიფიკატი ან სხვ.)
მოტო - კურიერი	აფხაზეთიდან დევნილი ან/და ე.წ. გამყოფ ხაზს მიღმა, ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირი, რომელიც განაცხადის გაკეთებით-პროექტში მონაწილეობით გამოხატავს მცირე ბიზნესის წარმოების სურვილს და ეთანხმება ამ დებულებით განსაზღვრულ წესებსა და პირობებს, რომელიც აპირებს აწარმოოს/აწარმოებს ეკონომიკურ საქმიანობას და დარეგისტრირდება/რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად კანონმდებლობის შესაბამისად;	-პირადობის მოწმობა; -დევნილის მოწმობა; -მართვის მოწმობა (კატეგორია A*)

2. კონკურსანტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს პროექტის პირობებს და მოთხოვნებს, უნდა იქნეს დისკვალიფიცირებული.
3. დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტის განაცხადის შეფასების მიზნით:

კრიტერიუმი	შეფასების საფუძველი/დოკუმენტი
დამატებით დევნილი პირების დასაქმება	-განაცხადის ფორმის შევსებისას, აპლიკანტი სპეციალურ ველში შეავსებს ინფორმაციას სამომავლოდ ბიზნეს საქმიანობისას, დამატებით რამდენი დევნილის დასაქმებას გეგმავს და რა გზით (მაქს.1000 სიმბოლო)
მრავალშვილიანი ოჯახი; ორსული, ობოლი	-განაცხადის ფორმის შევსებისას, აპლიკანტი სპეციალურ ველში შეავსებს ინფორმაციას და წარმოადგენს დოკუმენტებს მის ოჯახში მრავალშვილიან პირთა ოდენობის(დაბადების მოწ), მისი ორსულობის(ფორმა 100ა) ან ობლობის(გარდაცვალებისა და დაბადების მოწმობები) შესახებ, არსებობის შემთხვევაში (მაქს.1000 სიმბოლო)
სოციალური სტატუსი	-განაცხადის ფორმის შევსებისას, აპლიკანტი სპეციალურ ველში შეავსებს ინფორმაციას მისი მოქმედი სოციალური სტატუსის შესახებ და წარმოადგენს ცნობას. (მაქს.1000 სიმბოლო)

ომის ვეტერანის და ომში მონაწილის სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრობა	-განაცხადის ფორმის შევსებისას, აპლიკანტი სპეციალურ ველში შეავსებს ინფორმაციას და წარმოადგენს დოკუმენტებს, ომის ვეტერანობის ან/და ომში მონაწილის სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრობის შესახებ(ვეტერანის მოწმობა) (მაქს.1000 სიმბოლო)
---	---

მუხლი 7. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის ეტაპების ვადები:

1. კონკურსის გამოცხადების ეტაპები და ვადები, მიმართულებების შესაბამისად, მოცემულია ცხრილში:

კონკურსის მიმართულება	ღია კონკურსის გამოცხადება	განაცხადების მიღება	განაცხადების მიღების დასრულება	კომისიის მუშაობა, გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენა
ელექტრორკალური შემდუღებელი	18/02/2022	18/02/2022, 12:00	31/03/2022, 18:00	01/04//2022 – 15/04/2022
მოტო - კურიერი	18/02/2022	18/02/2022, 12:00	31/03/2022, 18:00	01/04//2022 – 15/04/2022

- კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია და პროექტის დებულება, აგრეთვე ნებისმიერი ცვლილება უნდა გასაჯაროვდეს-დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუკ-გვერდზე
- პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება უნდა განხორციელდეს კომისიის მიერ შეფასების დაწყებამდე;
- კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება უნდა განხორციელდეს მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით. განაცხადების კონფიდენციალურობას და დაცულობას უზრუნველყოფს ორგანიზაცია;
- განაცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდგომ მოწოდებული, ან არასრულად/არასწორად შევსებული განაცხადები არ გადავა შემდეგ ეტაპზე და არ განიხილება კომისიის მიერ.

მუხლი 8. კომისიის მიერ განაცხადების შერჩევა ქულების სისტემით

- კომისია განიხილავს მხოლოდ ისეთ განაცხადებს, რომლებიც აკმაყოფილებენ აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მოცემული დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.
- მოცემული დებულების მე-6 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ, კომისია განაცხადების შერჩევას და შეფასებისას ხელმძღვანელობს ქვემდებარე ცხრილში (#1) მოცემული კრიტერიუმებითა და პრიორიტეტებით:

კრიტერიუმი / პრიორიტეტი	ცხრილი (#1) ქულების სისტემა	კოეფიციენტი	დადასტურება
აფხაზეთიდან დევნილი ან/და ე.წ. გამყოფ ხაზს მიღმა, ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირი	<p>აპლიკანტი არის აფხაზეთიდან დევნილი ან/და ე.წ. გამყოფ ხაზს მიღმა, ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირი, რომელიც განაცხადის გაკეთებით გამოხატავს მცირე ბიზნესის წარმოების სურვილს და ეთანხმება ამ დებულებით განსაზღვრულ წესებსა და პირობებს, რომელიც აპირებს აწარმოოს / აწარმოებს ეკონომიკურ საქმიანობას და დარეგისტრირდება / რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად კანონმდებლობის შესაბამისად;</p>	<p>6</p> <p>5</p>	<p>-პირადობის მოწმობა;</p> <p>-დევნილის მოწმობა;</p> <p>-სრულად შევსებული განაცხადი;</p>

შესაბამისი პროფესიული განათლება ან შესაბამისი მართვის მოწმობა (კატეგორია A*)	წარმოდგენილი პროფესიული განათლება ნაკლებად შეესაბამება ბიზნესს, არც პერსპექტივა არ შეინიშნება	წარმოდგენილი პროფესიული განათლება ნაკლებად შეესაბამება ბიზნესს, არსებობს პერსპექტივა	წარმოდგენილი პროფესიული განათლება მკაფიოდ შეესაბამება ბიზნესს, მაგრამ ნაკლებია განვითარების შანსი		წარმოდგენილი პროფესიული განათლება / წარმოდგენილი მართვის მოწმობის კატეგორია მკაფიოდ შეესაბამება ბიზნესს, და განვითარების პერსპექტივა სახეზეა	5	-შესაბამისი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი, სერთიფიკატი და სხვ. -შესაბამისი მართვის მოწმობა (კატეგორია A*)
	1	2	4		5		
დამატებით დევნილი პირების დასაქმება	მხარდაჭერის შემდგომ დამატებით დასაქმდება 1 დევნილი	მხარდაჭერის შემდგომ დამატებით დასაქმდება 2-3 დევნილი	მხარდაჭერის შემდგომ დამატებით დასაქმდება 4-7 დევნილი	მხარდაჭერის შემდგომ დამატებით დასაქმდება 8-15 დევნილი	მხარდაჭერის შემდგომ დასაქმდება 15 და მეტი დევნილი	3.0	აღწერილია განაცხადის ფორმაში. დანართი#2
	1	2	3	4	5		
მრავალშვილიანი ოჯახი; ორსული, ობოლი	ორსული, ობოლი	სრულწლოვანი, მცხოვრები 2 არასრულწლოვანთან ერთად	სრულწლოვანი, მცხოვრები 3 არასრულწლოვანთან ერთად	სრულწლოვანი, მცხოვრები 4 არასრულწლოვანთან ერთად	არასრულწლოვანი, მცხოვრები 5 არასრულწლოვანთან ერთად	1.5	ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა # IV-100/ ა - ოჯახის წევრი არასრულწლოვნების დაბადების მოწმობები, გარდაცვალების მოწმობა.
	1	2	3	4	5		
აპლიკანტის სოციალური სტატუსი	80001-100000 ქულა	60001-80000 ქულა	40001-60000 ქულა	30001-40000 ქულა	< ან = 30001 ქულა	3.0	ცნობა სოციალური სააგენტოდან ქულების მითითებით (მაქ. 3 თვიანი ხანდაზმულობ.)
	1	2	3	4	5		
ომის ვეტერანის და ომში მონაწილის სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრობა	სამხედრო ძალების ვეტერანი	ომის შედეგად მარტყინად დაკარგული პირი; ომში დაღუპულის ოჯახის წევრი	ომის მონაწილე და ომის მონაწილესთან გათანაბრებული	ომის შედეგად ზომიერად გამოხატული შეზღუდვების მქონე პირი	ომის შედეგად მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვების მქონე პირი	1.5	ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ვადიანი ვეტერანის მოწმობა
	1	2	3	4	5		

3. მოცემული დებულების მე-6 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილების შემდგომ, კომისიის მიერ, მოცემული დებულების მე-8 მუხლის 2 პუნქტის ცხრილი(№1)-ის მიხედვით განაცხადების შეფასების შემდგომ, შეფასების შემდგომ ეტაპზე გადადის მხოლოდ ის განაცხადები, რომლებმაც დააგროვეს მინიმალური გადამსვლელი 30 ქულა. განაცხადისათვის, მინიმალური გადამსვლელი 30 ქულის მიღება აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი პირობაა აპლიკანტის გამარჯვებისათვის;

4. მინიმალური გადამსვლელი ქულისა და უფრო მაღალქულიანი შედეგების მქონე აპლიკანტები, შემდგომი შეფასების მიზნით, კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლოა მოწვეულ იქნან განაცხადის-პროექტის პრეზენტაციისათვის, რის შესახებაც ეცნობებათ აპლიკანტებს. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ელექტრონული ფორმით პრეზენტაცია ან/და ონლაინ პრეზენტაცია სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმების საშუალებით;

5. აპლიკანტების შეფასებისას, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, პრიორიტეტულად ჩაითვლება განაცხადი, რომელმაც პრიორიტეტში- „შესაბამისი პროფესიული განათლება“ უფრო მეტი ქულა მოიპოვა ჯამში. თუ მოცემული კრიტერიუმითაც თანაბარი ქულებით არიან წარმოდგენილი, მაშინ განმსაზღვრელია-მეტი ქულა ჯამში „დევნილი პირების დასაქმება“-ს კრიტერიუმში. თუ კვლავ თანაბარქულიანებია განაცხადები, გადამწყვეტი კრიტერიუმია- ‘ომის ვეტერანის და ომში მონაწილის სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრობა“ „მრავალშვილიანი ოჯახი, ორსული, ობოლი“; „სოციალური სტატუსი“ შესაბამისად.

მუხლი 9. ხელშეკრულების გაფორმება

1. აპლიკანტი, სპეციალურ სააპლიკაციო განაცხადს მატერიალური ფორმით ან ელექტრონულ ფორმატში სპეციალურ ვებგვერდზე www.iids.ge შევსებისას, ხელმოწერით ადასტურებს, რომ შედის სახელშეკრულებო შეთანხმებაში ააიპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ ორგანიზაციასთან და აღნიშნულ შეთანხმებაში (იხ.დანართი#3) დეტალურად არის გაწერილი მხარეთა ვალდებულებები, უფლებები და მოვალეობები, რომელსაც აპლიკანტი, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში უსათუოდ შეასრულებს.
2. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს შესაბამის ოქმში და წარედგინოს ორგანიზაციის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. ორგანიზაციის დირექტორი უფლებამოსილია გაითვალისწინოს კომისიის გადაწყვეტილება და დააკმაყოფილოს იგი ან დასაბუთებული უარი თქვას მის განხორციელებაზე;
2. კომისიის გადაწყვეტილებითა და ორგანიზაციის დირექტორის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები გამარჯვებულ აპლიკანტებთან, შესაბამისი ვალდებულებების მითითებით;
3. ასეთი ხელშეკრულების დადების საფუძველი შეიძლება იყოს კომისიის მიერ აპლიკანტის გამარჯვებულად გამოვლენა;
4. ხელშეკრულების დადების, შეჩერების, შეცვლისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის დირექტორი და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
5. პროექტის ფარგლებში დაუშვებელია კომპანიის ან ფიზიკური პირის საბანკო ან სხვა ტიპის კრედიტორული დავალიანების ან მისი მომსახურებისათვის ხარჯის გაწევა;
6. პროექტის ფარგლებში შემოტანილი განაცხადის მატერიალური მხარდაჭერის მოთხოვნა შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალური ფორმების დეტალური და სწორი-უტყუარი ინფორმაციით შევსებისა და დროულად ორგანიზაციაში ჩაბარების (ელექტრონული ან მატერიალური ფორმით) შემთხვევაში (განაცხადი-დანართი#2). განაცხადის ფორმის- დანართი#2 შევსება სავალდებულოა, მაგრამ ფორმაში მოცემული ყველა პუნქტ(ებ)ისა და დანართ(ებ)ის შევსება არ არის სავალდებულო. კომისია იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას არსებული მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

დირექტორი

ვ.ფოჩხუა

გთხოვთ, ჩაწეროთ ტექსტი თითოეულ გრაფაში მასში მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად. არ დაგავიწყდეთ ამ ინსტრუქციების წაშლა. თითოეული განყოფილებისათვის მოცემული კითხვები და განმარტებები ინსტრუქციის ფუნქციას ასრულებს.

ცხრილების, გრაფიკების შეტანა ან წყაროების მითითება შეგიძლიათ სათანადო განყოფილების ტექსტურ გრაფაში.

გთხოვთ გამოიყენოთ Sylfaen ფონტი, 11.

ინფორმაცია, რომელიც არ ექვემდებარება გასაჯაროებას ფრჩხილებში ჩასვით და ყვითლად მონიშნეთ

მაგ. [კონფიდენციალური ინფორმაცია]

განაცხადის ფორმა გთხოვთ მონიშნოთ ერთ-ერთი კონკურსი, რომელშიც გადაწყვიტეთ მონაწილეობის მიღება:

ელექტრორკალური შემდუღებელი *მონიშვნისას სავალდებულოა #2 ველში მონიშნოთ „ვფლობ კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო შესაბამის ცოდნას და უნარებს“

მოტო - კურიერი *მონიშვნისას სავალდებულოა #2 ველში მონიშნოთ „ვფლობ მართვის მოწმობას (კატეგორია A*) საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს და უმკლავდები პროფესიასთან დაკავშირებულ სირთულეებს და რისკებს“

აპლიკანტის მონაცემები *სავალდებულო ველი.*

აპლიკანტის სახელი და გვარი; პირადი ნომერი; საკონტაქტო ტელეფონი;ელ.ფოსტა; იურიდიული მისამართი; ფაქტიური მისამართი;

<i>ინსტრუქციები: ამ სექციაში, ჩაწერეთ აპლიკანტის სახელი და გვარი, ვალიდური დოკუმენტის-პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით</i>
<i>ინსტრუქციები: ამ სექციაში, ჩაწერეთ აპლიკანტის პირადი ნომერი, ვალიდური დოკუმენტის-პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით</i>
<i>ინსტრუქციები: ამ სექციაში, ჩაწერეთ აპლიკანტის მოქმედი ტელეფონის ნომერი/ები</i>
<i>ინსტრუქციები: ამ სექციაში, ჩაწერეთ აპლიკანტის მოქმედი ელექტრონული ფოსტა/ები</i>
<i>ინსტრუქციები: ამ სექციაში, ჩაწერეთ აპლიკანტის იურიდიული მისამართი, ვალიდური დოკუმენტის-პირადობის მოწმობის ან დევნილის მოწმობის მიხედვით</i>
<i>ინსტრუქციები: ამ სექციაში, ჩაწერეთ აპლიკანტის ფიზიკური მისამართი, ანუ თქვენი რეალური, ამჟამინდელი საცხოვრებელი მისამართი</i>

1. შესაბამისი პროფესიული განათლება ან შესაბამისი ან შესაბამისი მართვის მოწმობა *სავალდებულო ველი.*

გთხოვთ მონიშნოთ თქვენთვის შესაბამისი ერთ-ერთი პირობა: და წარმოადგინოთ შესაბამისი დოკუმენტის ასლი

ვფლობ კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო შესაბამის ცოდნას და უნარებს. გამაჩნია კონკურსის შესაბამისი, უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი, სერთიფიკატი) და მის ასლს ურთავ განაცხადს;

ვფლობ კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო მართვის მოწმობას - კატეგორია A* და მის ასლს ურთავ განაცხადს;

2. დამატებით, დევნილი პირების დასაქმება *არასავალდებულო ველი.*

ინსტრუქციები: დამატებით დევნილების დასაქმების გეგმის არსებობის შემთხვევაში შეავსეთ ციფრ(ებ)ით. ჩაწერეთ დამატებით რამდენი დევნილის დასაქმებას გეგმავთ უახლოესი 3-12 თვის მანძილზე;

ინსტრუქციები: აღწერეთ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, როგორ, რა ფორმით, რა რაოდენობითა და ვადით აპირებთ დევნილი პირების დასაქმებას; რა დატვირთვა ექნებათ მათ თქვენი ბიზნესის საქმიანობაში და რა როლი ექნებათ მის განვითარებაში; უახლოეს მომავალში (3-12 თვე) (არაუმეტეს 1000 სიმბოლო)

3. მრავალშვილიანი ოჯახი; ორსული, ობოლი *არასავალდებულო ველი.*

ინსტრუქციები: გთხოვთ წარმოადგინოთ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა # IV-100/ ა -ოჯახის წევრი არასრულწლოვნების დაბადების მოწმობები, გარდაცვალების მოწ-ბა.

4. აპლიკანტის სოციალური სტატუსი *არასავალდებულო ველი.*

ინსტრუქციები: გთხოვთ წარმოადგინოთ ცნობა სოციალური სააგენტოდან ქულების მითითებით (მაქ. 3 თვიანი ხანდაზმულობით.)

5. ომის ვეტერანის და ომში მონაწილის სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრობა *არასავალდებულო ველი.*

ინსტრუქციები: გთხოვთ წარმოადგინოთ ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ვადიანი ვეტერანის მოწმობა;

მე, ზემოთ მითითებული აპლიკანტი ვადასტურებ, რომ გავეცანი პროექტის დებულებას და სხვა ყველა საჭირო დოკუმენტს პროექტში მონაწილეობისათვის, რასაც ვეთანხმები. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებ ვალდებულებას გავაფორმო ხელშეკრულება დანართი#3-ის მოცემული ფორმით.

აღნიშნული ფორმა-დანართი#2 შევავსე პირადად და მითითებული ინფორმაცია უტყუარია. ინფორმაციის სიზუსტეზე თავად ვაგებ პასუხს კანონის წინაშე. ზემოაღნიშნულს ვადასტურებ ხელმოწერით.

აპლიკანტის ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

ბენეფიციარის ხელშეკრულება

ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

ქ. თბილისი

„--“ -----2022 წ.

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ -ს/კ 405364092- (შემდგომში - „ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ვახტანგ ფოჩხუას სახით, და მეორე მხრივ, ამავე ორგანიზაციის, მცირე ბიზნესის გენერირებისა და მატერიალური მხარდაჭერის პროექტის ბენეფიციარი (პ/ნ)- (შემდგომში - „ბენეფიციარი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში, ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“-სა და შორის, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით (რომლებიც დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი) განსაზღვრული საქონლის უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში, გადაცემა, ბიზნესის განვითარების, დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის უზრუნველყოფის მიზნით, პირობიანად და კონკრეტული ვადის გარეშე.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა ვალდებულია:

2.1.1 გადასცეს ხელშეკრულების საგანი ბენეფიციარს, ხელშეკრულების გაფორმებისას, რაც უნდა დადასტურდეს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. (რომლებიც დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი).

2.1.2 ბენეფიციარს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთ(ებ)ი.

2.1.3. თუ ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა შეგნებულად არ უმხელს ბენეფიციარს, უფლების ხარვეზს ან ნათხოვარი ნივთის ნაკლს, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

2.2 ბენეფიციარი ვალდებულია:

2.2.1. ამ ხელშეკრულების საგანი-უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონებით ისარგებლოს, მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების 1 მუხლის, 1.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნით, ქვეყნის კანონმდებლობისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ბენეფიციარი ვალდებულია, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად იმოქმედოს და მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ დაიცვას შრომის უსაფრთხოება და ქონების გამოყენებამდე ჩაატარონ შესაბამისი გადამზადება.

2.2.2. ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემთან წერილობითი შეთანხმების გარეშე არ გადასცეს მესამე პირს, უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონება.

2.2.3. თავად გადაიხადოს ქონების დროებით სარგებლობისას წარმოქმნილი ხარჯები, მათ შორის კანონით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულებები და მისი სათანადოდ მოვლა-შენახვისათვის საჭირო ხარჯები.

2.2.4. ხელი შეუწყოს ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემს ხელშეკრულების შესრულებაზე მონიტორინგის პროცესში და საჭიროების შემთხვევაში წარმოუდგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, ხოლო მიღებული ნივთის არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუპირობოდ დაუბრუნოს, ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემს იგივე ქონება და არა მისი მსგავსი იმავე ოდენობისა, ან გადაცემული ქონების ღირებულება.

2.2.5. თუ, ბენეფიციარი ვერ ახერხებს მე-2 მუხლის, 2.2.4. პუნქტის პირობის დაცვას, ქონების დროებით სარგებლობაში გადამცემთან შეთანხმებით, დასაშვებია დაუბრუნოს, გადაცემული ქონების მსგავსი იმავე ოდენობის ან გადაცემული ქონების ღირებულება, მხარეების მიერ შეთანხმებული პირობით.

2.2.6. „მიმღები“ ვალდებულია ხელშეკრულების საგანი გამოიყენოს ყველა ნორმის, ექსპლუატაციის წესებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით, სათანადოდ დაიცვას ხელშეკრულების საგანი ქურდობისა და ვანდალიზმის ფაქტებისაგან, აგრეთვე თავად აგოს პასუხი ამ ნორმების დარღვევით გამოწვეულ ზიანზე. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ნებისმიერი ნორმის დარღვევა ან/და დარღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის სახდელი, მათ შორის სწორი ან არასწორი ექსპლუატაციის ხარჯები, ჯარიმა, პირგასამტეხლო, ანაზღაურება, კომპენსაცია, საგადასახადო დავალიანება, ან/და სხვა ხარჯი ანაზღაუროს პირადად დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში და შეინახოს/წარუდგინოს „გამცემს“ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.2.7. ხელშეკრულების საგანს გააჩნია ერთი წელი (ან 12000 კმ მომწოდებლის გარანტია*). შესაბამისად „მიმღები“ ვალდებულია ხელშეკრულების საგანი გამოიყენოს ყველა ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების წესებისა/ნორმების სრული დაცვით, გაწიოს სწორი ექსპლუატაციის ხარჯები, დროულად მიმართოს სერვისცენტრს და ნებისმიერი ტექნიკური პრობლემის რისკის ან მისი წარმოქმნის შემთხვევაში დაუკავშირდეს ნომერზე: +995 577 060 333; @ScootScootService

„მიმღები“ ვალდებულია დაიცვას ექსპლუატაციის ინსტრუქცია:

სკუტერის გასახმარისება, ე.წ. აბკატკა: სკუტერის არის ახალი, ის დაქოქეს სულ რამოდენიმე წუთით ქარხანაში და მომწოდებელთან შემოწმებისას. ახალ ძრავს კი მოითხოვს ფაქიზად მოპყრობა. ჰოდნას სკუტერებზე აბკატკას გავდივართ და აახლოებით 750-1000 კილომეტრის განმავლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში არ იარო ჩქარა და რაც უფრო მნიშვნელოვანია არ იარო ძრავის მაღალი დატვირთვით. საუკეთესო იქნება, თუ სკუტერის აქსელერატორის ს ახელურს გასახმარისების პერიოდში გადაწვე დაახლოებით ნახევარ ბრუნზე.

გახურება:

მიუხედავად იმისა, სკუტერი ახალია თუ ძველი, ცივი ძრავის გახურება მნიშვნელოვანია. გასახმარისების პერიოდში, სკუტერის გახურება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან, როგორც ზევით აღვნიშნეთ ყველა ახალ ძრავს ძალიან დიდი სიფაქიზით უნდა მოვეპყრათ. სკუტერს აქვს მექანიკური სასი (ე.წ. პადსოსი), აუცილებლად გამოწვიე ცივზე დაქოქვისას, და აელოდე დაახლოებით 1-2წუთი ზაფხულში და 4-5 წუთი ზამთარში და მხოლოდ ამის შემდეგ შეწიე და დაიწყე მგზავრობა. კარგი იქნება, თუ ამ ნაწილს ჩვევად იქცევ და გასახმარისების შემდეგაც გაახურებ ხოლმე ძრავს გასახმარისების მანძილის (750-1000 კმ) გავლის შემდეგ, აუცილებლად უნდა შეცვალო ძრავის ზეთი და მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია გადახვიდე სკუტერის ჩვეულ ექსპლუატაციაზე. ეს საკმაოდ მცირე კომპრომისია, იმასთან შედარებით, თუ რამხელა რესურსით მოგემსახურება სკუტერი გასახმარისების შემდგომ. რაც შეეხება სკუტერის მომდევნო პერიოდში მოვლას, ჩვენი რეკომენდაციები შემდეგია: ზეთის გამოცვლა: გასახმარისების შემდეგ, შეცვალე ზეთი ყოველ 3000 კილომეტრში ან უფრო ნაკლებში. გარანტიის პერიოდში ზეთი აუცილებლად იცვლება მხოლოდ ჩვენთან-მის: დადამაშენებლის გამზ. #164, Phone: +995 577 06 03 33, არ დაგავიწყდეს, რომ 3000 კმ-ს არ გადააჭარბო ზეთის გამოუცვლელად.

გარანტია:

1) პლომბი

სტიკერები - არ ააძრო სკუტ სკუტის პლომბი სტიკერები გარანტიის პერიოდის განმავლობაში, რათა არ შეიქმნას პრობლემა საგარანტიო სერვისთან დაკავშირებით.

2) ვიყოთ ხაზზე - ნებისმიერი პრობლემის გამოჩენისას საჩქაროდ დაგვიკავშირდე Phone: +995 577 06 03 33 ჩვენ და გეტყვით შეიძლება თუ არა სკუტერის ექსპლუატაცია გააგრძელოთ თუნდაც ჩვენთან მოყვანამდე.

3) ცვეთადი და არაცვეთადი ნაწილები - მოცემულა სერვისის ცხრილი:

-ძრავის ზეთის შეცვლა პირველად-750-1000კმ; შემდეგ ყოველ 3000 კმ-გავლის მერე;

-ტრანსმისიური ზეთის შეცვლა: პირველად-750-1000კმ; შემდეგ ყოველ 5000 კმ-გავლის მერე;

გახსოვდეს, რომ გარანტიის პერიოდში სავალდებულოა მხოლოდ შპს „სკუტ-სკუტში“ ჩაუტარდეს სერვისი - მის: დ.აღმაშენებლის გამზ. #164, Phone: +995 577 06 03 33.

2.3. გამცემი“-ს უფლებები:

2.3.1. „გამცემი“, უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი ხელშეკრულების შესრულებაზე და საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს „მიმღებს“ დამატებითი დოკუმენტაცია, ხოლო ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის, 2.2.1; 2.2.2; 2.2.3; 2.2.4; 2.2.6; პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევისა ან/და შესაბამისი გარემოების დადგომის შემთხვევაში, უფლებამოსილია დაიბრუნოს დროებით სარგებლობაში გაცემული „ხელშეკრულების საგანი“;

2.3.2. აგრეთვე, „გამცემს“ აქვს ამ ხელშეკრულების 1 მუხლის 1.1 პუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე გადაცემული „ხელშეკრულების საგანი“-ს, „მიმღები“-საგან უპირობო და დაუყოვნებლივ დაბრუნების უფლება, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო თავად საჭიროებს მას. აღნიშნული გარემოების შესახებ წერილობით ატყობინებს „მიმღებს“, რაც აგრეთვე ფორმდება შესაბამისი დოკუმენტით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3.4. „გამცემი“-ის მიერ გადაცემულ „ხელშეკრულების საგანზე“ საკუთრების უფლება რჩება „გამცემს“ მხარეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. „გამცემის“ ინიციატივით, აღნიშნული ხელშეკრულების მოშლის შემდგომ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტით, უსასყიდლოდ და პირობიანად, საკუთრებაში გადაეცეს „მიმღებს“.

2.4. „მიმღები“-ს უფლებები:

2.4.1. უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით, ისარგებლოს დროებით სარგებლობაში მიღებული „ხელშეკრულების საგანი“-ით.

2.4.2. უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს დააბრუნოს დროებით სარგებლობაში მიღებული „ხელშეკრულების საგანი“ საკუთარი ხარჯებით.

2.4.3. დროებით სარგებლობაში მიღებული „ხელშეკრულების საგანი“-ს ცვლილებისა თუ გაუარესებისათვის, „მიმღები“ მხარე პასუხს არ აგებს, თუკი ეს გამოწვეულია ობიექტური, მისგან დამოუკიდებელი გარემოებებით და ამ ხელშეკრულების ყველა პირობის დაცვის მიხედვად.

3. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ.

4. დავის გადაწყვეტის წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში წარმოქმნილი ყველა დავა მიზანშეწონილია გადაწყდეს მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.

4.2. მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დაუძლეველი ძალა

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

5.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას და სხვ.

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და ინახება მხარეებთან.

6.2. ხელშეკრულებაში დამატებისა და ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.3. მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ქვემოთ მითითებულ ფიზიკურ, იურიდიულ, ელექტრონულ მისამართზე და სატელეფონო ნომერზე, მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება ჩაითვლება დადასტურებულად და ჩაბარებულად მას შემდეგაც, რაც მხარეები შეტყობინების მიღებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში არ განახორციელებენ შეტყობინებაზე რეაგირებას.

7. მხარეთა რეკვიზიტები

ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა

ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“

ს/კ 405364092

მის: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 42

მის: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 42

info@iids.ge

Tel: +995 551684069

ბენეფიციარი

.....

პ/ნ

მის:

მის:

ელ.ფოსტა:

TEL:

დირექტორი

ვახტანგ ფოჩხუა

.....